

საქართველოს სახალხო დამცველი

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

2022 წლის სპეციალური ანგარიში



დოკუმენტი მომზადებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე და წარმოადგენს „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ რიგით მე-8 ანგარიშს.

სარჩევი

შესავალი	3
1. ქალთა თანასწორუფლებიანობა	4
1.1. სექსუალური შევიწროება.....	4
1.2. სპორტსმენი ქალების ტრავმების მკურნალობის დაფინანსება.....	6
1.3. გენდერული სხვაობა საჯარო ტურნირების საპრიზო თანხებში	7
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	8
2.1. შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან მომდინარე პრობლემები .	8
2.2. ფიზიკური წვდომა.....	10
2.3. უსინათლო პირთა ხელმოწერის საკითხი	11
2.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განათლება და მისი წვდომობა	11
3. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა	13
4. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა	14
4.1. წვდომა ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე.....	14
4.2. მცირე ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა	15
5. გადასახლება-განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემები	18
6. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა	20
7. დისკრიმინაციის წახალისება	22
7.1. ჰომო/ტრანსფობიური განცხადებები	22
7.2. სქესის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება	23
7.3. დისკრიმინაციის წახალისება მედიაში	25
8. დისკრიმინაცია კულტურის სფეროში	26
9. დისკრიმინაცია მედიის წარმომადგენლების მიმართ	27
10. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები	28
11. სახალხო დამცველის საქმიანობა თანასწორობის მიმართულებით	30
11.1. ინდივიდუალური საქმეების შესწავლა.....	30
11.2. საგანმანათლებლო საქმიანობა	31
დასკვნა	34
რეკომენდაციები	35

შესავალი

ევროკომისიის მონოდების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებისადმი, რომელიც დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვას ეხებოდა, 2022 წელს, ამ მიმართულებით პროგრესი არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის აღნიშვნის პარალელურად, ლგბტ+ ადამიანები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი. სტრატეგიაში ვერც ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრულ ამოცანებს ვხვდებით.

კიდევ ერთი პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც ლგბტ+ ადამიანები გამოირიცხებიან, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაა“.¹ ეს დოკუმენტი 2006 წლის კონცეფციის განახლებული ვერსიაა და, შესაბამისად, იყო მოლოდინი, რომ მისი შინაარსი მეტად პროგრესული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული იქნებოდა. თუმცა კონცეფციის არსებული ვერსიის შინაარსი უარყოფითად აისახება ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, რამდენადაც, კონცეფციის მიზანი დავიწროებულია ქალთა და კაცთა გენდერულ თანასწორობამდე, ლგბტ+ ადამიანები კი ამ დოკუმენტის მიღმა არიან დარჩენილები.

მხარდამჭერი განცხადებების საწინააღმდეგოდ, საანგარიშო პერიოდში, სამწუხაროდ, იშვიათი არ ყოფილა დისკრიმინაციული გამონათქვამები მაღალი თანამდებობის პირების, პოლიტიკოსებისა და საჯარო პირების მხრიდან,² რაც დამაზიანებელი იყო თანასწორობისათვის.

დადებითია, რომ 2020 წლიდან გრძელდება პოზიტიური ტენდენცია და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, სექსუალური შევიწროების პრევენციის და რეაგირების მექანიზმი არაერთმა საჯარო დაწესებულებამ³ დანერგა. მათ რიგს 2022 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი⁴ შეუერთდნენ, თუმცა ამ მექანიზმზე ამ დრომდე არ დასრულებულა მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა უწყებებში.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 153 ფაქტი შეისწავლა. მათგან ყველაზე მეტი - 20% **განსხვავებული მოსაზრების** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას შეეხებოდა. **სქესის/გენდერის** და **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე განმცხადებელთა 13-13% მიუთითებდა. **სექსუალური ორიენტაციისა** და **გენდერული იდენტობის ნიშნით** - 11%, ხოლო **ეთნიკური წარმომავლობის** საფუძველზე დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 10% დავობდა. **ეროვნების/მოქალაქეობის** დაცული ნიშანი 7%-ში, **პოლიტიკური შეხედულება** კი განცხადებების 4%-ში იკვეთებოდა. **რელიგიის და პროფესიული კავშირის ნევრობის** გამო სავარაუდო დისკრიმინაცია ვლინდებოდა მომართვების 2-2%-ში. **სხვა ნიშნების** საფუძველზე დისკრიმინაციულ მოპყრობაზე დავა ამ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო და განცხადებების 18%-ს შეადგენდა.

1 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, 22.12.2022, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/vbn7n5>

2 დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის მე-7 თავში.

3 დამატებით იხ. <https://rb.gy/9nybsi>

4 ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/aa3cph>

1. ქალთა თანასწორუფლებიანობა

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს, ქალები აქტიურად მომართავდნენ სექსუალური შევიწროების შესახებ. მომართვები ძირითადად დასაქმების ადგილზე მომხდარ ფაქტებს შეეხებოდა. ამავე პერიოდში, სახალხო დამცველმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საზოგადოებრივ ადგილას მომხდარი სექსუალური შევიწროების არაერთი შემთხვევის შესწავლის პროცესს გაუწია მონიტორინგი.

ამასთანავე, გაირკვა, რომ ქალთა საფეხბურთო კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელები კვლავაც ვერ სარგებლობენ ჯანმრთელობის დაზღვევით და არ უნაზღაურდებათ მიღებული ტრავმების მკურნალობისთვის აუცილებელი პროცედურებისა და სამკურნალო მედიკამენტების ხარჯები, რაც მათი ჯანმრთელობისა და პროფესიული საქმიანობისთვის შეუქცევადი ზიანის გამოწვევის რისკებს წარმოშობს. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საჭადრაკო ტურნირში ერთსა და იმავე კატეგორიაში გამარჯვებული კაცების/ბიჭებისა და ქალების/გოგონებისთვის განსხვავებული საპრიზო თანხის განსაზღვრის საკითხიც.

1.1. სექსუალური შევიწროება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების რამდენიმე ფაქტი განიხილა. აპარატის პრაქტიკის გათვალისწინებით, შემთხვევების უმრავლესობაში, შემავიწროებელი ხელმძღვანელი პირია, თუმცა, ზოგჯერ, იმავე რანგის ან უფრო დაბალ პოზიციაზე მყოფი პირებიც ავიწროებენ. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ხელმძღვანელის მხრიდან დაქვემდებარებაში მყოფი ქალის სექსუალური შევიწროების 3 საქმე განიხილა, საიდანაც, ორ შემთხვევაში მსხვერპლებს შრომითი ურთიერთობის საკუთარი სურვილით დასრულება და სამსახურის დატოვება მოუწიათ.

ამ საქმეებიდან ერთ-ერთ შემთხვევაში, სახალხო დამცველმა პირველად დაადგინა სექსუალური შევიწროების სახე - „მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo)“.⁵ ხსენებულ საქმეში კომპანიის ხელმძღვანელმა დასაქმებულ ქალს ირიბად მიანიშნა, რომ მისი კარიერული წინსვლა მის ქცევაზე იყო დამოკიდებული. ამ საქმეებზე კომპანიის ხელმძღვანელებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით, სახალხო დამცველის აპარატმა სსიპ შრომის ინსპექციას მიმართა⁶, საიდანაც აპარატს ეცნობა, რომ ორივე პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა და შემავიწროებლებს ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

5 „Quid pro quo“ სექსუალური შევიწროების შემთხვევებში შემავიწროებელი მსხვერპლისგან სექსუალურ ურთიერთობას მოითხოვს, იმისათვის, რათა დასაქმებულმა შეინარჩუნოს ან მოიპოვოს სამსახურებრივი ბენეფიტები, ხოლო, უარის შემთხვევაში, ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს მასზე. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 ივლისის რეკომენდაცია სამშენებლო-სარემონტო კომპანია „ფაქტორ გრუპის“ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3icjsXK>

6 საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსის 75-78-ე მუხლების გათვალისწინებით, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, უფლებამოსილია, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის დარღვევის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების გამოვლენის შემთხვევაში, დამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოიყენოს.

ბოლო პერიოდში, სულ უფრო მეტი სახელმწიფო დაწესებულება⁷ შეიმუშავებს სექსუალური შევიწროების აკრძალვასა და მასზე რეაგირებასთან დაკავშირებულ შიდა რეგულაციებს⁸, ასევე, სახალხო დამცველის მიერ საქმის შესწავლის პროცესში, სულ უფრო მეტი კერძო ორგანიზაცია გამოთქვამს მსგავსი მექანიზმის დანერგვის მზაობას. მიუხედავად ამდაგვარი პოზიტიური ტენდენციისა, აპარატის გასული წლის პრაქტიკამ ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში, სექსუალურ შევიწროებაზე კომპანიის შიდა პრევენციული მექანიზმის ეფექტიანად მუშაობა კერძო სუბიექტების ნაწილში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. მაგალითად, საანგარიშო პერიოდში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში გამოიკვეთა, რომ კომპანიამ სათანადოდ ვერ დაიცვა დასაქმებულის უფლებები, იმის მიუხედავად, რომ არსებობდა მიმოწერის ამსახველი ე.წ. სერინშოთები, სადაც ცხადად ჩანდა შემავიწროებლის მხრიდან სექსუალური შინაარსის ფრაზების გამოყენება და სექსუალური კავშირის შეთავაზება. კომპანიამ მიიჩნია, რომ სექსუალური შევიწროების დასადგენად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა.⁹ რეკომენდაციის განხილვის შემდგომ, კომპანიამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ თანამშრომლებს შრომითი დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების აკრძალვასთან დაკავშირებით ინსტრუქტაჟი ჩაუტარა. ამასთანავე, თანამშრომლები გააფრთხილა, რომ მსგავსი ქმედების მიმართ ადმინისტრაცია მკაცრ დისციპლინურ პასუხისმგებლობას გამოიყენებდა. კომპანიამ, სექსუალური შევიწროების აღმოფხვრის მიზნით, ასევე გამოთქვა მოქმედი შიდა რეგულაციების გამკაცრების მზაობა.¹⁰

რაც შეეხება საზოგადოებრივ ადგილას მომხდარ სექსუალურ შევიწროებას, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა ორი ასეთი საქმე შეისწავლა. ამ საქმეებში სახალხო დამცველის აპარატის შეფასების საგანი იყო სამართალდამცავი უწყების მხრიდან რეაგირების ეფექტიანობა. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ შემავიწროებლების მიმართ, ორივე შემთხვევაში შედგა სამართალდარღვევის ოქმები და საქმე შემდგომი განხილვის მიზნით შესაბამის სასამართლოებს გადაეგზავნა.¹¹ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა ასევე შეისწავლა საქმე, სადაც განმცხადებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან სექსუალური შევიწროების ჩადენის ფაქტზე მიუთითებდა.¹² სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

7 2020-2021 წლებში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობით, საჯარო დაწესებულებებში სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების დანერგვა დაიწყო. მექანიზმი დაინერგა შემდეგ უწყებებში: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი. იხილეთ: <https://bit.ly/3ibfgMy>

8 დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად დამსაქმებელი ვალდებულია, თავისი საქმიანობა, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას შეუსაბამოს. ამასთანავე, სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს, უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა და დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს შექმნა. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 4, საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი, მუხლი 11, ნაწილი 9.

9 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 29 აგვისტოს რეკომენდაცია მ.მ.-ს და „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯერული ჯგუფის - ემ გრუპ“ გენერალურ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3icPc3H>

10 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jTLBrC>

11 ხსენებული საქმეებიდან ერთი-ერთი შეეხებოდა სოციალურ სივრცეში საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოს, რომელშიც ჩანდა, თუ კაცი, ბათუმის ერთ-ერთ ქუჩაზე, როგორ ურტყამდა საჯდომზე ხელს გამვლელ ქალს და სახლში გაყოლას სთხოვდა, იხ. <https://rb.gy/3snjvm> მეორე შემთხვევა ხაშურში მომხდარ ფაქტს ასახავდა.

12 განმცხადებლის გადმოცემით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას, სადაზღვევო კომპანიასთან ურთიერთობაში დახმარებისა და გამოძიების სწრაფად დასრულების სანაცვლოდ, შეხვედრა, ხოლო მეორე თანამშრომელმა მეგობრობა შესთავაზა. ასევე, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ორჯერ მისწერა შეტყობინება.

მინისტროდან ეცნობა, რომ საკითხი სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლა, რის საფუძველზეც, ერთ-ერთ პირს ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელისა¹³ და სამინისტროს სისტემის ავტორიტეტის შემლახავი შეუფერებელი ქმედების ჩადენისთვის¹⁴ დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო, რომ გარემოებებს სექსუალური შევიწროების მიმართულებითაც მისცემოდა შეფასება. შესაბამისად, ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა სექსუალური შევიწროების პრევენციის და მასზე რეაგირების მექანიზმის არსებობის მნიშვნელობა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, რამდენიმე დაწესებულების მხრიდან სექსუალური შევიწროების შემთხვევაზე რეაგირების კარგი პრაქტიკაც გამოვლინდა. ერთ-ერთ საქმეში საჯარო უწყებაში დასაქმებული ქალი მიუთითებდა, რომ ხელმძღვანელი კაცის მხრიდან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. უწყების მიერ საკითხის შესწავლას, სახალხო დამცველის აპარატი დისკრიმინაციული მოპყრობის გამოვლენისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების ეფექტიანობის კუთხით მონიტორინგს უწევდა. მოკვლევის დასრულებისთანავე სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ უწყებამ დაქვემდებარებულ ქალ თანამშრომელთა მიმართ სექსუალური შევიწროებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი გამოავლინა, რის საფუძველზეც შემავიწროებლის სამსახურიდან გათავისუფლების რეკომენდაცია გაიცა. სავარაუდო შემავიწროებლებთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა ერთ-ერთი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციამაც, იმ საფუძველით, რომ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული ქალები ამავე სტაციონარული განყოფილების ექთნის დამხმარეების მხრიდან სექსუალური შინაარსის ქცევაზე მიუთითებდნენ.¹⁵

1.2. სპორტსმენი ქალების ტრავმების მკურნალობის დაფინანსება

ბოლო ორი წლის განმავლობაში, სახალხო დამცველს მომართავენ ქალთა საფეხბურთო კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელების ტრავმების მკურნალობასთან დაკავშირებული გამოწვევების თაობაზე. ევროპის რეგიონის ჭრილში ამ საკითხზე ნამსჯელი აქვს ევროსაბჭოსაც, რომელიც მიიჩნევს, რომ გამოწვევა, მნიშვნელოვანწილად, კლუბების ხელთ არსებულ შეზღუდულ ფინანსურ რესურსს უკავშირდება, რის გამოც, შესაბამისი ხარჯების გაღება, ხშირად, თავად ფეხბურთელებს აწვებათ ტვირთად, ეს კი, იმ პირობებში, როდესაც ამ სფეროში დიდია გენდერული სახელფასო სხვაობაც.¹⁶ შედეგად, ქალი პროფესიონალებისთვის, შეუფერხებელი კარიერული წინსვლა გაცილებით რთულია.¹⁷ იდენტურ პრობლემებს აწყდებიან ქალი ფეხბურთელები საქართველოშიც. ამასთანავე, საყურადღებო მდგომარეობა გამოიკვეთა ფრენბურთის სფეროშიც, სადაც შეზღუდულ მატერიალურ შესაძლებლობებზეა მიბმული ფრენბურთელთა ტრავმების მკურნალობა ეროვნული ნაკრების შემთხვევაშიც კი.¹⁸

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს სპორტული ფედერაციების ვალდებულებაზე, მიზნად დაისახონ და იმოქმედონ ქალთა სპორტის განვითარებაში ინვესტიციების განხორ-

13 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნტი „დ“.

14 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნტი „ვ“.

15 ვინაიდან მოპასუხეებმა სექსუალური შევიწროების ფაქტები საქმის შესწავლის პროცესშივე აღმოფხვრეს, სახალხო დამცველს ამ საქმეებზე გადაწყვეტილება არ მიუღია.

16 „ბრძოლა თანასწორი სათამაშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GCQrCB>, პარა, 4, პარა. 34-35.

17 იქვე, პარა. 40.

18 საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 20 დეკემბრის №1/254/22 წერილი.

ციელებისა და გენდერული თანასწორობის აქტიური ხელშეწყობისთვის.¹⁹ ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ფედერაციებმა ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით, განიხილონ მკურნალობის დაფინანსებისთვის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის საკითხი; და გაზარდონ ძალისხმევა სპორტსმენი ქალების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ფინანსური რესურსის მოსაძიებლად.

1.3. გენდერული სხვაობა საჭადრაკო ტურნირების საპრიზო თანხებში

სპორტსმენი ქალების თანასწორუფლებიანობის კუთხით, პრობლემურად გამოიკვეთა ერთსა და იმავე კატეგორიაში გამარჯვებული კაცების/ბიჭებისა და ქალების/გოგონებისთვის განსხვავებული საპრიზო თანხის დანესების საკითხი ჭადრაკის სფეროში. კერძოდ, ერთ-ერთი ღია ტურნირის ფარგლებში, რომელშიც ქალები და კაცები ერთად მონაწილეობდნენ, ფულადი პრიზები სქესის მიხედვით გაიმიჯნა, რაც აჩენს აღქმას, რომ პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, კაცი მოჭადრაკე 1700 ლარს, ხოლო, ქალი - 900 ლარს მიიღებდა.²⁰ სწორედ ასეთ მოპყრობაზე გაავრცელა ინფორმაცია ტურნირში მონაწილე ერთ-ერთმა ქალმა მოჭადრაკემ.²¹

საპრიზო თანხებსა თუ სპორტსმენებისთვის განკუთვნილ სხვა ანაზღაურებებში სქესთა შორის არსებულ უთანასწორობებთან გამკლავება და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა არსებითია.²² მით უფრო, მოჭადრაკეების შემთხვევაში, რომელთაც, შესაძლოა, შემოსავლის დანარჩენ წყაროებზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდეთ.

19 „ბრძოლა თანასწორი სათამაშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, ევროპის საბჭო, გვ. 1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GCQrCB>

20 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IoQl2S>

21 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ib7aUa>

22 „ბრძოლა თანასწორი სათამაშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა“, ევროპის საბჭო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GCQrCB>, პარა. 36.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ თანასწორობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დისკრიმინაციისას შემაშფოთებელ სიძნელებს აწყდებიან.²³

საანგარიშო პერიოდში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მხრივ, სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელიდან გამომდინარე პრობლემებსა და ბიოფსიქოსოციალურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობაზე; ფიზიკური, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მომსახურების თანაბარი წვდომის საკითხებზე, მათ შორის, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის და ბავშვის განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის მხრივ.

ამასთანავე, მიმდინარე საანგარიშო პერიოდმა ცხადყო, რომ კვლავ გამონვევად რჩება ფიზიკური, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მომსახურების თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი მონაწილეობა. პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა წვდომა განათლებაზეც.

სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით, დადებითი ტენდენციებიც აღინიშნება. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყებების ნაწილის ოფიციალური ვებგვერდები ადაპტირებულია ან მიმდინარეობს მათი ადაპტირება;²⁴ გარდა ამისა, მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო პროგრამის შესახებ საიტზე განთავსებული ვიდეორგოლი მომზადებულია ჟესტურ ენაზეც. დამატებით აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის შემთხვევაში, განაცხადს დამატებითი ქულა ენიჭება. აღსანიშნავია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამთო-სათხილამურო კურორტების ფიზიკურ გარემოზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაც. ამასთანავე, საქართველოს აეროპორტებში ტარდება პერიოდული მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, მომდებდა აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, სავარძლების, სპეციალური ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება.²⁵

2.1. შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო მოდელიდან გამომდინარე პრობლემები

წლებია, სახალხო დამცველი ანგარიშებში ყურადღებას ამახვილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სისტემური დისკრიმინაციის პრაქტიკაზე²⁶, რაც კვლავაც სამედიცინო

23 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, პარა. P.

24 ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 29 დეკემბერის წერილი №08-02/118681.

25 ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 24 ნოემბრის წერილი №18/9182.

26 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში - „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ (2021), გვ. 191, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3G7HxLS>; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ (2021), გვ. 19, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CiBKIG>; სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 33, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CIQOPk>; სახალხო დამცველის 2016 წლის საპარ-

მოდელის გამოყენებით არის გამოწვეული. სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელი მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში და სრულად ჩაენაცვლებინა ბიოფსიქოსოციალური მოდელით²⁷, ცვლილებამდე პერიოდში კი, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაეთვალისწინებინა სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და მხედველობაში მიეღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები.²⁸

2022 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი დისკრიმინაციული პრაქტიკის თანახმად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენისას, სტატუსის განსაზღვრის შესახებ სამედიცინო კლინიკის მიერ გაცემულ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის დასკვნაში, პირი „შრომის უუნაროდ“ მოიხსენიება.²⁹ საპასუხოდ, ჯანდაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმაზე.³⁰ ამასთანავე, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირებულობისა და ექსპერტიზაში მონაწილე ექიმ-სპეციალისტების მიერ დისკრიმინაციული ტერმინების გამოყენების აღმოსაფხვრელად, ზოგადი წინადადება რეაგირებისთვის ექსპერტიზაში ჩართულ ყველა სამედიცინო დაწესებულებას გადაეგზავნა.³¹

გარდა ამისა, 2022 წელს, ერთ-ერთ საქმეში საქართველოს სახალხო დამცველმა იმსჯელა შემთხვევაზე, სადაც პირი მიუთითებდა, რომ სანოტარო მოქმედებაში ჩართვის წინაპირობად ნოტარიუსმა მას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის წარდგენა მოსთხოვა. ნოტარიუსმა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი იმ გარემოებით ახსნა, რომ მან განმცხადებლის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობაში ეჭვი შეიტანა და მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი მხარდამჭერს საჭიროებდა. ნოტარიუსთა პალატამ ნოტარიუსის ქმედება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესების დაცვის მოტივით ახსნა. საქართველოს სახალხო დამცველმა კი მიიჩნია, რომ ნოტარიუსმა დისკრიმინაციული პრაქტიკა გამოიყენა, რამდენადაც, მხედველობაში მიიღო არა სასამართლოს მიერ განსაზღვრული ინდივიდუალური საჭიროებები, არამედ კონკრეტული სამედიცინო დიაგნოზი.³² მისასაღმებელია, რომ ნოტარიუსთა პალატამ სახალხო დამცველის მიერ მომზადებული ზოგადი წინადადება ნოტარიუსთათვის გასაცნობად ნოტარიუსთა პალატის

ლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 663-78, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IoY4xU>

27 შეფასების ბიოფსიქოსოციალური მოდელი გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა და მათთვის სოციალური ბენეფიტის (მატერიალური ან არამატერიალური სახის) მინიჭება არა მხოლოდ სამედიცინო შემთხვევების შედეგად დადგენილ დიაგნოზს, არამედ კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჭიროებების და გარემო ფაქტორების ინდივიდუალურად შეფასებას უნდა დაეფუძნოს.

28 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ (2021), გვ. 71, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CiBKlG>

29 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CmThcw>

30 საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მუხლი 37, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავალდებულებს 2023 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცება.

31 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jQ4gF>

32 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IoZtoa>

შიდა ვებგვერდზე განათავსა. ამასთანავე, ქმედუნარიანობის კონცეფციის არსის განმარტების მიზნით, პალატა, სახალხო დამცველის ჩართულობით, მიმდინარე წლიდან ნოტარიუსებისთვის ტრენინგების ჩატარებას გეგმავს.

2.2. ფიზიკური მისაწვდომობა

მისაწვდომობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებისთვის. საქართველოს სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს მისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფის კუთხით უწყვეტად მუშაობის მნიშვნელობაზე³³, მათ შორის, არაერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა მისაწვდომობის უგულებელყოფის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენების პრაქტიკაზე და უწყებებსა თუ კომპანიებს მისაწვდომობის მყისიერად უზრუნველყოფისკენ მოუწოდა.³⁴

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის პირველი მარტიდან ძალაში შევიდა ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“³⁵, მისაწვდომობის ეროვნული გეგმა ამ დრომდე არ შემუშავებულია.

საანგარიშო პერიოდში მისაწვდომობის პრობლემები ისევ გამოვლინდა სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის სფეროში. აპარატმა კიდევ ერთხელ განიხილა განცხადება, სადაც ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მიუთითებდა, რომ ვერ შეძლო სს „ლიბერთი ბანკის“ შენობაში შესვლა და სოციალური გასაცემლის მიღება, რამდენადაც შენობა არ არის მისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2020 წელს შეაფასა სს „ლიბერთი ბანკის“ მხრიდან მისაწვდომობის ვალდებულების უგულებელყოფისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არაადაპტირებული მომსახურების მიწოდების საკითხი და ბანკს ზოგადი წინადადებით მიმართა³⁶, ეს პრობლემა ჯერაც არ აღმოფხვრილა.

სახალხო დამცველის პრაქტიკით, ფიზიკურ გარემოზე წვდომის პრობლემა გამოიკვეთა კულტურულ ღონისძიებაზე დასწრების მიმართულებითაც. ეტლით მოსარგებლე პირებმა ვერ შეძლეს დასწრებოდნენ ზუგდიდში, ნიკო დადიანის სასახლეში გამართულ ღონისძიებას, რადგანაც სასახლე არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლე პირებისთვის. ფიზიკურ გარემოზე წვდომასთან დაკავშირებული პრობლემები იკვეთება ახალრეაბილიტირებული ქუჩების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად³⁷ მოწყობის მიმართულებითაც.

33 დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2018 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 11-12; დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 15-18; დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 21-22, დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 20-22.

34 მაგალითისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 21 დეკემბრის ზოგადი წინადადება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GdygCk>; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WIESEd>; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ნოემბრის ზოგადი წინადადება სს „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ClkNqR>

35 საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GdtBQQ>

36 საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 19 ნოემბრის ზოგადი წინადადება სს „ლიბერთი ბანკის“ გენერალურ დირექტორს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ClkNqR>

37 უნივერსალური დიზაინი პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს გულისხმობს,

2.3. უსინათლო პირთა ხელმონერის საკითხი

სახალხო დამცველის პრაქტიკის გათვალისწინებით, უსინათლო პირები განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფია, რამდენადაც მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით იჩენს თავს. უმეტესწილად არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა, რაც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის გარანტი იქნებოდა.

2021 წელს, სახალხო დამცველის პრაქტიკამ ცხადყო, რომ უსინათლო ორსულ ქალებს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურებების მიღებისას დაბრკოლებები ექმნებათ.³⁸ ბრაილის შრიფტის ან სხვა ალტერნატიული საშუალების გამოყენების თაობაზე, სახალხო დამცველმა წარსულში რეკომენდაციით ასევე მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა³⁹ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს.⁴⁰

2022 წელს, ამ მიმართულებით, უსინათლო პირთა წინაშე არსებული პრობლემა ხელმონერის საკითხს ეხებოდა. ერთ-ერთმა უსინათლო პირმა ვერ შეძლო ხელმონერის (ფაქსიმილეს) ნამდვილობის დამოწმება, ნოტარიუსმა მას უარი უთხრა წინასწარ გამოჭრილი ასოების (ტრაფარეტის) გამოყენებაზე და მის წინაშე ხელმონერის საკუთარი ხელით შესრულება მოსთხოვა. ამ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის ბრძანება⁴¹, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს გაეროს კონვენციით დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობას. საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უსინათლო პირთა საჭიროებები.

2.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განათლება და მისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლების უფლებით სხვებთან გათანაბრებული პირობებით სარგებლობა კვლავაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში თანასწორობის უფლების დაცვა, მათ შორის, ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების რეალიზებისთვის განსაკუთრებული პირობების უზრუნველყოფას⁴², ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად სახსრების მობილიზება, ინფრასტრუქტურის/

რომელიც ყველა ადამიანს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას აძლევს, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2, საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი „დ“.

38 საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 9 ივლისის ზოგადი წინადადებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WIeSEd>

39 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 6 აგვისტოს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iaFQP5>

40 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 4 მაისის რეკომენდაცია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Cmk7Bn>

41 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IvKets>

42 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 12, პუნქტი 4.

სასწავლო რესურსების მისაწვდომობა და პერსონალის გადამზადება, წლებია, პრობლემად რჩება.

საანგარიშო პერიოდშიც, ცალკეულ შემთხვევებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მათ ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული განათლების მიღების უფლების ნაწილში გამოიკვეთა პრობლემები. მაგალითად, სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთი საქმეში, სასწავლო დაწესებულებამ ბავშვის დედას რეკომენდაცია მისცა, სწავლების პროცესში ბავშვისთვის სპეციალური მასწავლებელი თავად დაეჭირავებინა. ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაუცველობის და დისკრიმინაციული მოპყრობის მომეტებული რისკის ფონზე და, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ გონივრულ მისადაგებაზე უარი, როგორც დისკრიმინაციის ფორმა, შედარებით ახალია ქართულ კანონმდებლობაში, სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია, დახმარება გაეწია სასამართლოსთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით⁴³ და სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae)⁴⁴ მიემართა.

სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ დრომდე გამოწვევად რჩება კანონმდებლობაში ასახული გონივრული მისადაგების ვალდებულების პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვისა და შესრულების საკითხი, რომელიც მოიცავს ვალდებულებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების სხვების მსგავსად განხორციელების მიზნით, ეს პრინციპი დაიცვას.⁴⁵

43 სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებაში, სახალხო დამცველმა მიმოიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული მიდგომები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციითა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტები. ასევე, დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა გონივრული მისადაგების გამოყენების მნიშვნელობასა და მის ელემენტებზეც.

44 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს გონივრული მისადაგების პრინციპთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Cysl9X>

45 შენიშვნა: გონივრული მისადაგება არის მყისიერი ვალდებულება და მასზე უარი შესაძლებელია გამართლდეს, თუკი ინდივიდუალური ღონისძიების განხორციელება არაპროპორციული ან გაუმართლებელი სირთულეა შემსრულებლისთვის (General comment №6 on equality and nondiscrimination, Committee on the Rights of Persons with Disabilities, para. 24 (2018)); ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WXcWrH>

3. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა

ამ საანგარიშო პერიოდში ცხადყო, რომ რეგიონებში, დროთა განმავლობაში, იეჰოვას მოწმეთა მიმართ მოსახლეობის მხრიდან შეურაცხყოფისა და ძალადობის მწვავე ფაქტები მცირდება.⁴⁶ ამის ხელშემწყობ ფაქტორად კი, ადგილობრივ მოსახლეობასთან თანაცხოვრების შედეგად, პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბება და იეჰოვას მოწმეების მიერ ზნეობრივი ნორმების პატივისცემა, კანონმორჩილება და შრომისმოყვარეობა სახელდება,⁴⁷ ხშირია მათთან შემდგომი საქმიანი ურთიერთობების დამყარების ინტერესიც. რელიგიური უმცირესობის წევრების გაცნობის შემდეგ, მათ მიმართ დამოკიდებულების ამგვარი ცვლილების მაგალითები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განსხვავებულისადმი უარყოფითი განწყობები, როგორც წესი, არასწორ წარმოდგენებს და ირაციონალურ შიშს ეფუძნება.

მეორე მხრივ, საანგარიშო პერიოდში აქტუალურ საკითხად გამოიკვეთა სამედიცინო მომსახურების მიღებისას იეჰოვას მოწმეთა წინაშე არსებული დაბრკოლებები, რაც მათი რელიგიური მრწამსისთვის ჰემოტრანსფუზიის (სისხლის გადასხმის) მიუღებლობით არის განპირობებული. როგორც მოკვლევის შედეგად გამოვლინდა,⁴⁸ ქვეყანაში დაშვებულია სისხლის გადასხმის ალტერნატიული მეთოდების⁴⁹ გამოყენება, თუმცა სახალხო დამცველის აპარატმა ვერ მოიძია სახელმძღვანელო/ინსტრუქცია, იმ მეთოდებისა და პრეპარატების დაშვებისა და გამოყენების წესის შესახებ, რომლითაც ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება იქნებოდა შესაძლებელი.⁵⁰ ხარვეზიანია, აგრეთვე, გაუტკივარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა,⁵¹ რომლის შეცვლის რეკომენდაციაც სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2018 წელს გასცა.⁵² არსებულ მოცემულობაში, პაციენტი იძულებული ხდება უარი თქვას მკურნალობაზე, რითიც მისი ჯანმრთელობა შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს ან დათანხმდეს ჰემოტრანსფუზიას, რაც საკუთარი რელიგიის წინააღმდეგ მოქმედების განცდას იწვევს.

46 საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, 2022 წელს, იეჰოვას მოწმეებთან რეგიონებში არაერთი შეხვედრა გამართეს.

47 რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2021, გვ. 416.

48 იეჰოვას მოწმეებთან კახეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სვანეთსა და რაჭაში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისას მიღებული ინფორმაცია; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 22 ნოემბრის NMOH 9 22 00568141 წერილის ანალიზი.

49 უსისხლო ოპერაცია და სპეციალური მედიკამენტები, რომლებიც, შედეგობრივი თვალსაზრისით, სისხლის გადასხმის პროცედურას ანაცვლებს.

50 მათი გამოყენების მზაობა და სწორი მოხმარების შესახებ ცოდნა მხოლოდ კონკრეტულ ექიმებს აქვთ.

51 „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის N108/ზ ბრძანება, მუხ. 10, დანართი 9.

52 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 151-153.

4. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობა

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წინაშე არსებული გამოწვევების მოკვლევით, მეტწილად, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები გამოვლინდა.⁵³ ამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ კვლავ შესამჩნევია საჯარო სერვისების, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების თაობაზე სათანადო ინფორმირების ნაკლებობა⁵⁴ მაშინ, როცა ეს პროგრამები სწორედ ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ წინა სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდს ახერბაიჯანულ ენაზე თარგმნის ფუნქცია დაემატა.⁵⁵ ამასთანავე, მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ქართულთან ერთად, ახერბაიჯანულ ენაზეც წამოიწყო.⁵⁶ სახალხო დამცველის აპარატმა განახლებული ინფორმაცია გამოითხოვა ე.წ. „1+4“ პროგრამის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გადადგმული ნაბიჯების თაობაზეც, რის შედეგადაც, შეიძლება ითქვას, რომ შესაბამისი ცვლილებები, ძირითადად, დაგეგმვის ეტაპზეა.

4.1. წვდომა ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესასწავლად, თემატური მოკვლევა ჩაატარა.⁵⁷ თემატური მოკვლევის ჯგუფმა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ. „1+4“ პროგრამა) მიმართულებით, უთანასწორობის გამოვლინებად მონიშნა სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალურ ანგარიშში მითითებული გარემოება, რომ პროგრამის მონაწილე სტუდენტთა სწავლის დაფინანსება შეზღუდულია იმ პრიორიტეტული მიმართულების პროგრამებზე, რომლებიც სახელმწიფოსგან სრულად ფინანსდება.⁵⁸

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითებით,⁵⁹ ეს იმ ფაქტორით არის განპირობებული, რომ ხსენებულ პროგრამებზე სტუდენტები დაფინანსებას ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამი საგნის წარმატებით ჩაბარების საფუძველზე მოიპოვებენ.

53 საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობებთან.

54 საკითხთან დაკავშირებით, გასული საანგარიშო წლის მიგნებები იხილეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიშში, გვ. 27-34.

55 <https://bit.ly/3vUS8FD>

56 <https://bit.ly/3vUSwUB>

57 თემატური მოკვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vxNdKx>

58 საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 28; ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022, გვ. 61, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vxNdKx>

59 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 30 ნოემბრის NME57220001523773 წერილი.

ალტერნატიულად, სტუდენტებს შეუძლიათ საგრანტო კონკურსში ჩაერთონ და ქართულ ენაზე ჩაბარებული 1 გამოცდით მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება.⁶⁰ სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი ალტერნატივა ეფექტიანად ვერ იქნება მიჩნეული, ვინაიდან მშობლიურ ენაზე ერთი გამოცდის ჩაბარებას და „1+4“ პროგრამაში ჩართვას აბიტურიენტები სწორედ იმიტომ არჩევენ, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე სახელმწიფო ენის სათანადოდ ათვისებას ვერ ახერხებენ. პრობლემატურად არის მიჩნეული სწავლის მიტოვების მაჩვენებელიც,⁶¹ რასაც სახალხო დამცველი სწავლის გასაგრძელებლად საკმარისი ფინანსური მხარდაჭერის არარსებობას უკავშირებს.⁶²

მნიშვნელოვანია, რომ „1+4“ მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში მისაღები ადგილების რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის ზრდის საკითხს ყურადღება ეთმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში.⁶³ ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სამინისტრო უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე მუშაობს.⁶⁴ იმის გათვალისწინებით, რომ ბილინგვური სწავლების მიმართულებით გატარებული პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრამდე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, როგორც დროებითი ღონისძიების, მოქმედების ვადის გაზრდა იგეგმება,⁶⁵ სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიექცევა სათანადო ყურადღება.

4.2. მცირე ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში არაერთი მცირე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომელთა საჭიროებები ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა, ხშირად, ნაკლებად ხილულია. ამ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ბოშების, ქისტების, ავარიელების და ებრაელების წინაშე არსებული გამოწვევები მოიკვლია.

ბოშები

ბოშები, სხვა ქვეყნების მსგავსად,⁶⁶ საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე დისკრიმინირებული ეთნიკური ჯგუფია. მათთვის კიდევ უფრო ნაკლებად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს თუ მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებულ სერვისებზე ინფორმირება. ამასთანავე, ხშირია, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში წარდგენილ განცხადებებსა და მოთხოვნებზე არასათანადო რეაგირება. მაგალითად, ერთ-ერთ ოჯახს უფასო სასაბინოო სარგებლობის შესაძლებლობა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან დაკავში-

60 ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022, გვ. 61, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vxNdKx>

61 იქვე, გვ. 55-56.

62 დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიშში, გვ. 28.

63 „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 - 2030 და მისი 2022 - 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს №446 დადგენილება, დანართი 1, გვ. 47.

64 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 30 ნოემბრის NMES7220001523773 წერილი.

65 იქვე.

66 „ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2021, გვ. 372.

რების შემდეგ მიეცა. მწვავედ დგას სახელმწიფო ენის არასათანადო ფლობის პრობლემაც. მშობლების თქმით, წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, შვილებს საშინაო დავალებების შესრულებაში ვერ ეხმარებიან, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების სასწავლო შედეგებზე.

ცალსახად შესამჩნევია საზოგადოების მხრიდან არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რაც, ხშირად, შეუნიღბავი სახითაც ვლინდება. კერძოდ, ბოშათა თემისადმი კუთვნილების გამო, მათთვის პრობლემურია ბინის დაქირავება, რაც სათანადო საცხოვრებელზე უფლების რეალიზაციაზეც ახდენს გავლენას, ვინაიდან, მუნიციპალური პროგრამები, ამ კუთხით, მეტწილად, მხოლოდ ქირით უზრუნველყოფის შესაძლებლობას ითვალისწინებს. მოსახლეობამ გაიხსენა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საჯარო სერვისების გამწვანება დაწესებულებებში განუცხადეს, რომ ერჩივნათ, დახმარება ქართველებისთვის გაეწიათ. მსგავსი დამოკიდებულებები განსაკუთრებით პრობლემურია იმის გათვალისწინებით, რომ თემის წევრები თავს, ძირითადად, წვრილმანი ვაჭრობით ირჩენენ და მათი უდიდესი ნაწილი უმუშევარია.⁶⁷ ამ პირობებში, სერვისის მიმწოდებელი საჯარო მოხელეებისა თუ საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან განგრძობადი სოციალური გარიყვა ბოშათა თემს უკიდურესი სიღარიბის რისკის წინაშე ამყოფებს.

ქისტები

კახეთის რეგიონში გაიმართა შეხვედრა ვაინახების წარმომადგენელ ქისტებთანაც.⁶⁸ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაფუძნების შემდეგ, პანკისელი ქისტები ქვეყნის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ,⁶⁹ მათ მიერ დასახელებული პრობლემები ხეობის უსაფრთხოების პრიზმის ქვეშ მოქცევაზე მეტყველებს, რაზეც მკვლევრები ხშირად მიუთითებენ.⁷⁰ კერძოდ, მოსახლეობის ცნობით, საქართველოს მოქალაქე ქისტებს პრობლემები ექმნებათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, რაც, უმეტესად, საზღვარზე დაყოვნების ფაქტებში ვლინდება. დაბრკოლებები იქმნება როგორც სახმელეთო საზღვარზე, ისე საჰაერო გზით მიმოსვლისას. ორივე შემთხვევაში, პირები შეყოვნებას გვარების საფუძველზე ექვემდებარებიან. სამწუხაროდ, არასაკმარისი მტკიცებულებების და სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, აპარატი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს უფლებებში ჩარევის შესაძლო შემთხვევები.

დიდ გამოწვევად იკვეთება მოსახლეობის ქვეყნიდან, ძირითადად, ევროპის რეგიონში გადინების მზარდი ტენდენცია. ქისტები დასაქმების პერსპექტივის არარსებობაზე და ხეობის მიმართ არასამართლიან პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე საუბრობენ,⁷¹ თვითრეალიზაციის შესაძლებლობების ნაკლებობა ზოგადი განათლების მიღების მაჩვენებელზეც ახდენს გავლენას. როგორც ქისტები განმარტავენ, მოსწავლეები, ხშირად, მხოლოდ საბაზო (9 კლასი) საფეხურის დაძლევის შემოიფარგლებიან, რის შემდეგაც, მესაქონლეობას მისდევენ ან მოგვიანებით, საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ.

მოსახლეობა გულისტკივილს გამოთქვამს, რომ არ აღინიშნა ყოველწლიური დღესასწაული - პანკისობა. ეს დღესასწაული ხეობას საშუალებას აძლევს, მიიღოს საქართველოს სხვადა-

67 იქვე, გვ. 378.

68 ეთნონიმის თაობაზე დეტალური ინფორმაცია იხ. იქვე, გვ. 241.

69 იქვე, გვ. 246.

70 იხ. მაგალითად, უსაფრთხოების მზერის ქვეშ: ისტორია, პოლიტიკა და რელიგია პანკისის ხეობაში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2018, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3VY9M5>

71 საკითხთან დაკავშირებით, იხ. „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ პოდკასტი - დაკარგული ხმები: რატომ ტოვებენ ქისტები პანკისს?, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3X4S29W>

სხვა რეგიონიდან ჩასული სტუმრები და მრავალფეროვან შეჯიბრებში, ფესტივალებში თუ სხვა ღონისძიებებში ერთობლივი ჩართულობის გზით, შეინარჩუნონ თანამოქალაქეებთან მჭიდრო კავშირი და გააძლიერონ ხეობის იზოლირებულობის აღქმა.

უდიები

ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ეთნოსის წარმომადგენლებთან, უდიებთან შეხვედრა გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში, სადაც უდიები ზუსტად 100 წლის წინ დასახლდნენ.⁷² სხვა ეთნიკური უმცირესობებისგან განსხვავებით, უდიებს ნაკლებად უდგათ საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემა. საპირისპიროდ, მათ მთავარ გამოწვევას ეროვნული იდენტობის შენარჩუნება წარმოადგენს. ეს კი, მეტწილად, უდიური ენის მივიწყების ტენდენციით არის განპირობებული. მართალია, სოფელ ზინობიანის საბაზო სკოლაში უდიური ენა ისწავლება, თუმცა, თემის წარმომადგენელთა გადმოცემით, სწავლების პროცესი მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და რეალური შედეგები არ მოჰყვება. აღსანიშნავია, რომ უდიური ენა ე.წ. მომაკვდავ ენათა სიაშია შეტანილი.⁷³

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მწირი ხილვადობის საპასუხოდ, თემის წევრების გამორჩეული აქტიურობა თავიანთ თავზე ინფორმაციის გასავრცელებლად. ეთნიკური უმცირესობების შესახებ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისა და თვითორგანიზებული აქტივობების გარდა, უდიებს შექმნილი აქვთ სოციალური ქსელის გვერდი „საქართველოს უდიები“,⁷⁴ რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელია ამ ეთნოსის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და სიახლეების გაცნობა. გარდა ამისა, გვერდზე ეტაპობრივად განთავსდება უდიური სიტყვები, რაც მშობლიური ენის პოპულარიზაციისთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი აქტივობაა.

ავარიელები

ქართული ენის არასათანადო ფლობასთან და დემოგრაფიულ პრობლემებთან ერთად, ავარიულ თემში ყველაზე მწვავედ გამოიკვეთა ინფრასტრუქტურული საკითხები. გამოწვევებია როგორც გაზიფიცირებისა და ხარისხიანი წყალმომარაგების, ისე ტრანსპორტის, ინტერნეტისა და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით. მოსახლეობაში იგრძნობა მიტოვებულობისა და მივიწყებულობის განცდა.

ებრაელები

ებრაელებთან მიმართებით, 2022 წელს აპარატი გაეცნო ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა წუხილებს. კერძოდ, ონის მუნიციპალიტეტში, ებრაელები საზოგადოებაში კარგად არიან ინტეგრირებულნი და ქართულ ენაზეც სრულყოფილად მეტყველებენ. თუმცა გულისტკივილით მიუთითებენ, რომ ნაკლებად ფლობენ ებრაელთა მშობლიურ ენას - ივრითს. ებრაული ენის შემსწავლელი კურსები რეგიონში ხელმისაწვდომი არ არის. ონლაინ კურსები კი, მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთს უკავშირდება.

72 „ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი, თბილისი, 2021, გვ. 275.

73 იქვე, გვ. 288.

74 <https://bit.ly/3X0qmCU>

5. გადასახლება-განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემები

სახალხო დამცველის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია გადასახლებული და განსახლებული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობაც, ვინაიდან თანასწორობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მათ ცალსახად მწვავე პრობლემები უდგათ. ასეთი ჯგუფებია მესხები და ეკომიგრანტები, რომელთაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ასევე, აქტიურად ხვდებიან.

მესხები

სამწუხაროდ, უცვლელია მესხების თემის წინაშე არსებული გამოწვევები, რაც, უმეტესად, რეპატრიაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელებისთვის სტაბილური სამართლებრივი გარანტიების არარსებობას და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან უფლებრივ და სოციალურ პრობლემებს უკავშირდება.⁷⁵ როგორც საქართველოში მცხოვრებ მესხებთან შეხვედრებისას გამოვლინდა, საქართველოს მოქალაქეობის არქონა, მათთვის, მათ შორის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობისას, დაბრკოლებას წარმოადგენს.

2021 წლის სპეციალურ ანგარიშში ასახული რეკომენდაციების საპასუხოდ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცხადებული პოზიციის⁷⁶ თანახმად, სახელმწიფო მიიჩნევს, რომ გადასახლებული მესხების შთამომავლებს საქართველოს მოქალაქეობის მიღების გამარტივებული შესაძლებლობა მიეცათ. ამ შესაძლებლობის გამოყენება კი, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას დაუკავშირდა. ანალოგიური პოზიცია აისახა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ვეროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტის წინაშე საქართველოს მიერ 2022 წლის 31 ივლისს წარდგენილ ანგარიშშიც.⁷⁷ ამგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო არ გეგმავს საქართველოში დაბრუნებული მესხებისათვის მოქალაქეობის მისაღებად ხელშემწყობი ღონისძიებების, მაგალითად, მათ საჭიროებებზე მორგებული ქართული ენის უფასო კურსების შეთავაზებას.

ეკომიგრანტები

მსგავსად, ერთ-ერთი მნიშვნელოვნად მოწყვლადი ჯგუფია ეკომიგრანტები, რომელთაც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდში შიდა ქართლის რეგიონში შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობებს არც ეს ჯგუფი განეკუთვნება და ეკომიგრანტები ორგანიზებულად, მეტწილად, სვანეთისა და აჭარის რეგიონებიდან არიან ჩამოსახლებულნი, მათ მაინც უწევთ ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრირება და შესაბამის ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით, განსხვავებული საზოგადოებრივი ჯგუფის მახასიათებლებს იძენენ.

75 საკითხთან დაკავშირებით, გასული საანგარიშო წლის მიგნებები იხილეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიშში, გვ. 34-36

76 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2022 წლის 16 მარტის N423 წერილი

77 საქართველოს მიერ წარდგენილი მეოთხე ანგარიში, ACFC/SR/IV(2022)001, პარ. 227-234, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Cm8OJr>

ეკომიგრანტებთან შეხვედრებისას, როგორც წესი, ძირითადად, თვალში საცემია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობა მიუთითებს ისეთ პრობლემებზე, როგორცაა: უმუშევრობა, მიწის ნაკვეთების სიმცირე (რაც, თავის მხრივ, საძოვრების არარსებობის პრობლემას ქმნის), სამედიცინო და კომუნალურ სერვისებზე (მათ შორის, გაზსა და ინტერნეტზე) ხელმიუწვდომლობა, საბავშვო ბაღის არარსებობა და სხვ. განსახლებულ პირებს, რომელთაც სტიქიებისა და გეოლოგიური პროცესების გამო, საკუთარი სახლ-კარის დატოვება უხდებათ, ფაქტობრივად, ცხოვრების თავიდან დაწყება უწევთ, რის გამოც, ადგილობრივი ინფრასტრუქტურული თუ სხვა პრობლემები მათზე გაცილებით მწვავედ აისახება. სახალხო დამცველი წლებია საუბრობს ეკომიგრანტთა განსახლების კუთხით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების სიმწირეზე.⁷⁸ გასათვალისწინებელია ისიც, რომ განსახლების პროცედურა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და სოციალურ გარანტიებს არ ითვალისწინებს.⁷⁹ ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემური იყო 2012 წლამდე კოლექტიური განსახლებებისას ეკომიგრანტთა საჭიროებების გათვალისწინება,⁸⁰ რაც დღემდე, განგრძობადი და გადაუჭრელი გამოწვევების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც შეიძლება მოვიაზროთ. გარდა ამისა, მწირი მხარდამჭერი ღონისძიებები ამ ტერიტორიებზე ტრადიციულად მცხოვრებ პირებსა და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს შორის დაძაბულობის რისკებს ზრდის.⁸¹ შესაბამისი რისკების იმთავითვე არსებობა კი, 2021 წელს, ნათლად გამოვლინდა დმანისის კონფლიქტის სახით.⁸² ამდენად, სახელმწიფო თუ მუნიციპალურ დახმარებებზე ეკომიგრანტთა სისტემატური წვდომის უზრუნველყოფა, უაღრესად მნიშვნელოვნად გვესახება.

78 იხ. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 414; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 455; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 344-345.

79 „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №779.

80 2013 წლიდან, განსახლებულ ოჯახთა დაკმაყოფილება თავად ეკომიგრანტი ოჯახის მიერ მოძიებული სახლის შესყიდვის გზითაც გახდა შესაძლებელი, რაც საცხოვრებელი ადგილის მათი საჭიროებების შესაბამისად შერჩევის მეტ გარანტიას იძლევა (იქვე, მუხ. 2.1).

81 „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის პირველი მოსაზრება საქართველოს შესახებ, ACFC/OP/I(2009)001, 2009, პარა. 69, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IjKImD>

82 საკითხთან დაკავშირებით, იხილეთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 37-38.

6. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა

პროგრესი ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობის მხრივ, არც ამ საანგარიშო პერიოდში შეინიშნებოდა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის მარკერის შესაცვლელად სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვისკენ მოუწოდა, რომლით სარგებლობასაც ტრანსგენდერი ადამიანები დაუბრკოლებლად შეძლებენ. ამ სახის რეგულირების საჭიროებაზე სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს, რის შესახებაც, ზემოაღნიშნული საქმის ფარგლებში, ევროპულ სასამართლოს მესამე მხარის ინტერვენციითაც მიმართა.⁸³

რაც შეეხება ეროვნულ დონეს, უფლებრივი გაუმჯობესება არ შეინიშნებოდა. ლგბტ+ ადამიანებისთვის, ამ საანგარიშო პერიოდშიც მნიშვნელოვანი გამომწვევა იყო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებებთან გამკლავება, მათ შორის, პოლიტიკოსების მხრიდან ამგვარი რიტორიკის ნახალისების ფონზე.⁸⁴

მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ, როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, არათუ არაეფექტიანია ლგბტ+ ადამიანების დაცვის მიმართულებით, არამედ, ეს ჯგუფი საერთოდ არ არის ნახსენები.

რაც შეეხება თემის მიერ გამოხატვის და შეკრების თავისუფლებებით სარგებლობას, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს „პრაიდის კვირეული“ გაცილებით უსაფრთხო გარემოში და ნაკლები დაბრკოლებების გარეშე გაიმართა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო გამოწვეული ლგბტ+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობისა და მათი უსაფრთხოების დაცვის სათანადო მექანიზმების შემუშავებითა და გაუმჯობესებით. იგი მეტწილად ორგანიზატორების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების საჯარო სივრცეების ნაცვლად, დახურულ სივრცეში/კერძო საკუთრების ტერიტორიაზე გამართვას უკავშირდება. „თბილისი პრაიდის“ მიერ შეკრების თავისუფლების ეფექტიანად, საჯარო სივრცეში სარგებლობაზე უარის თქმა განპირობებული იყო 2021 წლის 5-6 ივლისის გამოცდილებით, როდესაც რადიკალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე სამართალდამცავებმა პოზიტიური ღონისძიებები არ გამოიყენეს, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე კი, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა დღემდე არ დაწყებულა.⁸⁵

83 A.D. and Others v. Georgia, No. 57864/17, 79087/17 და 55353/19, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/0mov1f>

84 radiotavisupleba.ge, 1) საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადება, 30.05.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ZsZ3Dj> [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 2) metronome.ge/საქართველოს პარლამენტის და პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრების - ვახტანგ მეგრელიშვილის და იაგო ხვიჩიას განცხადებები, 30.06.2022/22.09.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IEPmvH>; <https://bit.ly/3ID5Xjs> [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 3) publika.ge, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჭვაძის განცხადება, 28.06.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CEmKPe> [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 4) „ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარის, შალვა ნათელაშვილის განცხადება, 03.07.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3k9SDZA> [ბოლოს ნანახია: 13.12.2022].

85 ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით წინადადებით მიმართა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QB6VoN>

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებისგან მომდინარე საფრთხეების გამო, ლგბტ+ შეკრების თავისუფლების რეალიზაციისთვის საჯარო სივრცე არ დარჩათ. ამის გათვალისწინებით, „პრაიდის კვირეულის“ ორგანიზატორებმა უარი თქვეს „ღირსების მარშის“ ჩატარებაზე, თუმცა გაავრცელეს ინფორმაცია⁸⁶, რომ საჯარო ღონისძიებების ნაცვლად, 2022 წლის 28 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით, თბილისში, დახურულ სივრცეში გაიმართებოდა ახალი ქართული ქვიარ ფილმის ჩვენება, რეგიონული კონფერენცია და პრაიდ ფესტივალი. „პრაიდ კვირეულის“ ორგანიზატორების მიერ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ულტრანაციონალისტური და ექსტრემისტული ჯგუფები კვლავ გააქტიურდნენ, ძალადობით იმუქრებოდნენ და კონტრდემონსტრაციებისთვის მზადებაც წამოიწყეს. მათ შორის, ძალადობრივი, ჰომოფობიური და პრორუსული პარტია „კონსერვატიული მოძრაობა/ალტ-ინფოს“ ლიდერებმა ღიად გამოხატეს აგრესია „პრაიდის კვირეულის“ მიმართ და მათ წინააღმდეგ „სრული მობილიზაცია“ გამოაცხადეს.⁸⁷

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ულტრანაციონალისტური და ექსტრემისტული, ასევე, ჰომოფობიური და პრორუსული პარტია „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოს“ ლიდერების მუქარები იყო ინტენსიური და რეალური, ამასთანავე, არსებობდა ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებები - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239¹ მუხლით, შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა არც ამ საანგარიშო პერიოდში უზრუნველყვეს ძალადობის ორგანიზატორების მიმართ სამართლებრივი რეაგირება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ძალადობრივი ჯგუფების ლიდერები და მხარდამჭერები, 2022 წლის 2 ივლისს, ფესტივალის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და ადგილზე მობილიზებულ პოლიციის თანამშრომლებს დაუპირისპირდნენ. „თბილისი პრაიდის“ მუსიკალური ფესტივალის საწინააღმდეგო აქციაზე პოლიციამ დააკავა 26 ადამიანი, მათ შორის, ადმინისტრაციული წესით დააკავეს ჯგუფის ორი ლიდერი - ზურაბ მახარაძე და ირაკლი მარტინენკო, ასევე, გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები. გასათვალისწინებელია, რომ ძალადობრივი აქციების ორგანიზატორებისა და მონაწილეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დრომდე არ დამდგარა.⁸⁸

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2022 წლის 31 მაისს, 20-მდე უცნობი პირი, აგურებითა და ქვებით, თავს დაესხა საკუთარ სახლში მყოფ ხუთ ტრანსგენდერ ქალს. თავდამსხმელები ტრანსგენდერ ქალებს, ისევე, როგორც სახლის მეპატრონე ხანდაზმულ ქალს, ტრანსფობიურ ნიადაგზე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.⁸⁹ გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან განარიდეს, თუმცა მაშინვე არ დაუკავებიათ. არც საგამოძიებო მოქმედებები (გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვ.) ჩატარებულა მყისიერად. საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ მედიის მიერ საქმის გაშუქებისა და უფლებადამცველების ჩართვის შემდეგ დაიგეგმა. საქმეზე გამო-

86 Tbilisi Pride-ის განცხადება: „თბილისი პრაიდის კვირეული ბრუნდება!“, 31.05.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QpdHqX> [ბოლოს ნანახია: 11.12.2022].

87 youtube.com, „ზურა მახარაძე მოუწოდებს ხალხს გვი პრაიდის წინააღმდეგ მობილიზებისთვის“, 2022 წლის ივლისი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3H0D27R> [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]. Reginfo.ge, „ალტ-ინფო“ აცხადებს, რომ კერძო საკუთრებაში პრაიდ ფესტივალის ჩატარებას არ დაუშვებს“, 01.06.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CwkPfo> [ბოლოს ნანახია: 11.12.2022]. ზურა მახარაძე მოუწოდებს ხალხს, გვი პრაიდის წინააღმდეგ მობილიზებისთვის. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jNQDGb> [ბოლოს ნანახია: 11.12.2022].

88 „რაიო თავისუფლება“, „შს-მ „ალტ-ინფოს“ აქციაზე 26 ადამიანი დააკავა, მათ შორის, ლიდერები“. 02.07.2022 [ბოლოს ნანახია: 11.12.2022]. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Cw6Gz9>

89 Civil.ge, „ტრანსგენდერ ქალებს საცხოვრებელ სახლში სავარაუდოდ თავს დაესხნენ“, 30/05/2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GpENd5> [ბოლოს ნანახია: 11.12.2022].

ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც ჯგუფურად ჩადენილ სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარას გულისხმობს. სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ დროისთვის, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისთვის, ბრალდებულად მხოლოდ ორი პირია ცნობილი. სისხლის სამართლის ამ საქმეზე სასამართლო პროცესები თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ დრომდე არ დასრულებულა.

7. დისკრიმინაციის წახალისება

დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელება საჯარო სივრცეში კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება. სახელმწიფოს მხრიდან თანასწორობის მხარდამჭერი ერთიანი პოლიტიკის არარსებობა განაპირობებს ქალების, ლგბტ+ ადამიანების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელებას. სამწუხაროდ, პრობლემად რჩება საზოგადოებაში არსებული სტიგმა და სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც ხელს უწყობს დისკრიმინაციის წამახალისებელი გამონათქვამების გავრცელებას.

პოლიტიკური თანამდებობის თუ სხვა საჯარო პირების მხრიდან დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელების მხრივ, მიმდინარე წელმაც ცხადად დაადასტურა, რომ ვითარება არ გაუმჯობესებულა. პრობლემის სიმძაფრეზე მეტყველებს ისიც, რომ დისკრიმინაციის წახალისების პრაქტიკა შეიმჩნეოდა მედიაშიც. სახალხო დამცველი დისკრიმინაციის წამახალისებელ გამონათქვამებს აანალიზებდა როგორც საკუთარი ინიციატივის, ასევე მოქალაქეთა/ორგანიზაციათა მომართვის საფუძველზე.

7.1. ჰომო/ტრანსფობიური განცხადებები

სამწუხაროდ, მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან ხშირად გამოიყენება ლგბტ+ ადამიანების მიმართ შეურაცხმყოფელი და სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამები, რომლებიც ახალისებს დისკრიმინაციას და ქმნის საფრთხეს, რომ ლგბტ+ თემის წევრები, სექსუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენტობის გამო, მომავალში შევიწროვდნენ ან/და ძალადობას დაექვემდებარებინ.

საანგარიშო პერიოდში, პრობლემური იყო პოლიტიკოსთა განცხადებები, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება. მაგალითად, ვიცე-სპიკერის განცხადება, რომლითაც ის გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩის განცხადებას და განაცხადა, რომ 5 ივლისს არაფერი „მომხდარა ისეთი, რაც ევროპულ სივრცეში არ ხდება“.⁹⁰ ლგბტ+ თემი უარყოფით კონტექსტში წარმოაჩინეს ასევე პოლიტიკური პარტია „გირჩის“ წევრმა იაგო ხვიჩიამ⁹¹ და ლეიბორისტული პარტიის“ თავმჯდომარემ, შალვა ნათელაშვილმა.⁹²

90 დამატებით იხ. <https://cutt.ly/sMnjh6s>

91 „როცა შენ ამბობ, რომ ხარ ლგბტ თემის წარმომადგენელი, ბუნებრივად ჩნდება განცდა, რომ ხარ არა ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ რუსთაველის წინ ტყავის „ტრუსიკით“ გავლას რომ ითხოვს და ამ უფლებისთვის რომ იბრძვის. სინამდვილეში, იმ ხალხისთვის, ვინც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და განსხვავებული ორიენტაცია აქვთ, ეს არის უფრო პრობლემა, ვიდრე დახმარება“. იხ. <https://cutt.ly/VMnNjyl>

92 შალვა ნათელაშვილი „ფეისბუქის“ გვერდზე დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდის პრეზიდენტის, დეიმონ ვილსონის საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა: „კმაყოფილებით გაუწყებთ, რომ ამ დღეებში პრაიდის

ჰომოფობიური და დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინი გამოიყენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, თორნიკე რიჟვაძემაც, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციის მხარდამჭერი საპროტესტო ტალღა შეაფასა და აღნიშნა: „არა მგონია, ქართველი ხალხის ნება იყოს ან ჩვენი წინაპრების ოცნება, რომ ლიბერალისტების ჩრდილოვან კაბინეტს გადავცეთ ხელისუფლება“.⁹³

7.2. სქესის და გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისება

მიმდინარე საანგარიშო წელსაც პრობლემური იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური შინაარსის და დისკრიმინაციის გამაძლიერებელი გამონათქვამები ქალისა და კაცისათვის განსაზღვრული გენდერული როლების შესახებ, განსაკუთრებით, ინტერნეტსივრცეში. საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიურ ქალთა მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამები აკნინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და აძლიერებს ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ არასწორ და დამამცირებელ სტერეოტიპებს.

პარლამენტის წევრის - მარიამ ლაშხის საჯარო გამოსვლას, რომლითაც მან პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მადლობა გადაუხადა და სასაუბრო დროის დამატება ითხოვა, შეურაცხმყოფელი კომენტარები მოჰყვა.⁹⁴ კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი კი მიუთითებდა, რომ მას, როგორც ქალ მინისტრს, სპორტის ფედერაციების კაც წარმომადგენლებთან ბევრი პრობლემა აქვს.⁹⁵ ასევე, სოციალურ ქსელში კრიტიკული აქცენტი გაკეთდა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ჩაცმულობაზე. სქესის ნიშნით შეურაცხმყოფელი განცხადება გაავრცელა ექსპერტმა გია ხუხაშვილმაც, საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შესახებ, კერძოდ, სოციალურ ქსელში დაწერა: „სალომე ზურაბიშვილი იმ ქალს გავს, ყველა მამაკაცს რომ ეპრანჭება, მაგრამ მოძალადე ქმრის ერთგულებას ინარჩუნებს...“⁹⁶ ერთ-ერთ შემთხვევაში, ბათუმის საკრებულოს სხდომაზე აქტივისტი ირმა ზოიძე ბულვარის გენგეგმიდან „ამბასადორის“ ბულვარისთვის „შეუსაბამო ნაგებობის“ ჩანაწერის ამოღებას აპროტესტებდა და პროტესტის ნიშნად მაგიდაზე აბრახუნებდა. ამ პროცესის ამსახველ ვიდეოკადრებს, „ფეისბუქ“ გვერდზე საჯარო მოხელეები ავრცელებდნენ. გვერდმა „ფსიქიატრიული ოთახი 5.2.5“ კი, ვიდეო გაავრცელა წარწერით: „ჩვენი ბათუმელი პაციენტი ნაციონალური მოძრაობიდან“.⁹⁷ ამავე წარწერით კადრები ბათუმის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარემ, თენგიზ აფხაზავამ, საკუთარ გვერდზე გააზიარა, რამაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია. კომენტარებში აქტივისტს დასცინიან, ლანძღავენ და შეურაცხყოფას აყენებენ.⁹⁸

ლონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და პარლამენტში უძრავად მჯდომ ოპოზიციასთან შესახვედრად სპეციალურად ვაშინგტონიდან ჩამოვიდა ამერიკის დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდის პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი. ვიკიპედიის თანახმად, ეს ბატონი ახლახანს გათხოვილა კიდეც, რასაც მოგვიანებით, მაგრამ მაინც ვულოცავთ. ამასთან მაღალჩინოსან სტუმარს გარდა პატივცემული პრაიდისა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებთან მტკიცეულ საკითხებზე საუბრისა, ყურადღება, რომ გაემახვილებინა ლეიბორისტული პარტიის აკრძალვასთან და დევნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ნამდვილად არ დაამცრობდა ეს მის უაღრესად ეფექტურ მისიას“. იხ. <https://cutt.ly/MMnXnzO>

93 იხ. <https://cutt.ly/pMnLijq>

94 იხ. <https://cutt.ly/RMmzV0h>

95 იხ. <https://rb.gy/eaueic>

96 იხ. <https://cutt.ly/C1IifpV>

97 იხ. <https://cutt.ly/OMmt3i0>

98 იხ. <https://cutt.ly/CMmextT>

საანგარიშო პერიოდში, ასევე საყურადღებო იყო „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტიკის, ნატო გოგელიას „ფეისბუქ“ გვერდზე გავრცელებული სტრინი, რომლითაც დასტურდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე - გოჩა კილაძე შეურაცხყოფელ და სექსისტური შინაარსის კომენტარს უწერს ქალს: „კაცი არ გყავს ეტყობა სახლში, ენა რომ ამოგადროს უზრდელიო“.⁹⁹ „ფეისბუქ“ მომხმარებელმა ნატალია ბაბუხაძემ, რომელიც დასაქმებულია დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, ჭარბწონიანი ქალების მიმართ ზიზღითა და სიძულვილით გაჯერებული პოსტი გაავრცელა. ქალი ექიმის მხრიდან განსაკუთრებით საგანგაშოა შეურაცხყოფელი/არაეთიკური/დისკრიმინაციული მოსაზრების საჯარო სივრცეში გავრცელება.¹⁰⁰

მიმდინარე საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა განიხილა სამოქალაქო აქტივისტის, სამირა ბაირამოვას საქმეც, რომელიც შეეხებოდა 2022 წლის 2 ივლისს, მარნეულში საინფორმაციო კამპანია „შინ ევროპისკენ“ ფარგლებში მომხდარ ინციდენტებს, როდესაც სამირა ბაირამოვას, მათ შორის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და მარნეულის „ალტინფოს“ ოფისის მდივანი, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ჰქონდათ ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობები და ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ შეკრების მშვიდობიანად ჩატარებაში.¹⁰¹ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციით, საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები და მიმდინარეობს გამოძიება.¹⁰² სახალხო დამცველის აპარატმა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერსაც მიმართა, მოეწოდებინა ინფორმაცია, ზემოხსენებული ფაქტების საფუძველზე დაიწყო თუ არა დისციპლინური წარმოება მარნეულის მერიის თანამშრომლების მიმართ; საგულისხმოა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტისგან გვეცნობა, რომ მერიის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.¹⁰³

სახალხო დამცველმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ქალთა თანასწორუფლებიანობა და ქალთა თანაბარი მონაწილეობა განწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთ გამონწვევად რჩება, სოციალურად აქტიური ქალებისათვის მტრული გარემოს შექმნა მათ აბრკოლებს, რომ სრულყოფილად, თავისუფლად და უსაფრთხოდ წარმართონ საქმიანობა. ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთვის უმნიშვნელოვანესია, საჯარო პოლიტიკური დებატების ფარგლებში, ოპონირება პროფესიული კრიტიკის ჩარჩოში მიმდინარეობდეს და არ ისახავდეს მიზნად პირის დამცირებასა და შეურაცხყოფას მისი პიროვნული მახასიათებლის თუ დადგენილი საზიანო სტერეოტიპების საფუძველზე.

ანგარიშში განხილული შემთხვევები ადასტურებენ, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება, მათ შორის,

99 იხ. <https://cutt.ly/dMSEEEY>

100 შენიშვნა: ნატალია ბაბუხაძემ, მოგვიანებით პოსტი წაშალა: „თქვენ თუ ხართ დაკვირვებული, ზოგიერთი ადამიანი, მეტწილად ქალები, მსუქანი (და არა ჭარბწონიანი, ერთსიტყვიანად და ლაკონურად) თითქოს რაღაც თლიფინით, თითქოს ბავშვურად და ნაზად ლაპარაკობს (რა თქმა უნდა, ხელოვნურად), არადა ზუსტად იცი, ერთი ძროხა ჭამა 1 საათის წინ. თითქოს კომპენსატორულად ის პირველყოფილი სინაზე დაიბრუნონ, რაც ასე წელ-წელა დაკარგეს ჭამა-ჭამაში. ეს დაახლოებით ისე ჩანს, ბეჭემოტმა რომ მიაუ გვითხრას კნუტის ხმით. არ დამინწყობს ახლა, სიძულვილის ენა და ა.შ. ზედმეტი წონა სირცხვილია. ჩემს მასწავლებელს და უფროს კოლეგას უყვარდა თქმა, მსუქანს რომ დაინახავდა, ადამიანი იმას რომ ვერ გაიგებს რამდენი უნდა ჭამოს, ის სხვას რას გაიგებსო. ახალი წელი მოდის და იმან გამახსენა“.

101 იხ. <https://cutt.ly/9MmpfVY>

102 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 9 სექტემბრის კორესპონდენცია MIA 6 22 02525265.

103 მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 30 ნოემბრის წერილი N32-322233418.

ინტერნეტ სივრცეში, სერიოზული გამოწვევაა და კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რომ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლის თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

7.3. დისკრიმინაციის წახალისება მედიაში

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა მედიაში დისკრიმინაციის წახალისების შემთხვევებს. ზედიზედ სამი მსგავსი ფაქტი გამოვლინდა, რასაც სახალხო დამცველი საყურადღებო პრობლემად მიიჩნევს.

პირველ შემთხვევაში, 2022 წლის 12 ოქტომბერს, აჭარის ტელევიზიის გადაცემაში, „დიდი შესვენება“, წამყვანმა სმენის არმქონე ადამიანებზე იხუმრა, რასაც სხვა წამყვანების მხრიდან სიცილი მოჰყვა.¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მკვეთრი რეაქციის შემდეგ, გადაცემის სოციალური ქსელის გვერდზე ამ შემთხვევასთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთდა.¹⁰⁵ განმარტებას, მეტწილად, მომხდარის გამამართლებელი შინაარსი სდევდა. გადაცემის წამყვანებმა მომხდართან დაკავშირებით ისაუბრეს მეორე დღესაც,¹⁰⁶ წამყვანმა პატიება ითხოვა. თუმცა გამოხმაურებას კვლავ არ უგულისხმია შეცდომის აღიარება. წამყვანები ძირითადად იმაზე საუბრობდნენ, რომ ვიდეო გავრცელდა კონტექსტიდან ამოვარდნილი სახით და მოულოდნელი იყო ის დამოკიდებულება, რაც მას საზოგადოების მხრიდან მოჰყვა. გადაცემის რედაქტორმა კი მოგვიანებით აღნიშნა: „მემგონი, არაფერი ისეთი კატასტროფული, ყველას შეიძლება ეს მოუვიდეს, არაგამიზნულად, არასწორი მოქმედება ჩაიდინონ, უბრალოდ, ის გამოხმაურება, რომელიც მოჰყვა ამას, მე ვფიქრობ, რომ იყო სრულიად არაადეკვატური“.¹⁰⁷

სახალხო დამცველის შეფასებით, აჭარის ტელევიზიის გადაცემის, „დიდი შესვენება“, ახსნა-განმარტება, რომელსაც ფაქტის მკაფიოდ დაგმობა არ მოჰყოლია, ვერ მიიჩნევა შემთხვევის საზიანო ხასიათის გაცნობიერების შედეგად, სათანადო რეაგირებად, რაც, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ სტატუსის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სამწუხაროა. აჭარის ტელევიზია საჯარო დაფინანსებით მოქმედი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მაუწყებელია, რომლის მიზანიცაა საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება.

2022 წლის 18 ოქტომბერს კი, ტელეარხ „ფორმულას“ გადაცემაში, „დილა ფორმულაზე“ მონვეულმა სტუმარმა პარალელი გაავლო პატრონის მიერ ძალის მოვლასა და მშობლის მიერ ბავშვის აღზრდას შორის, მაგალითად კი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვები დაასახელა.¹⁰⁸ გადაცემის წამყვანები ამ შედარებას არ გამიჯვნიან. გადაცემის, „დილა ფორმულაზე“, შემოქმედებითი ჯგუფი გაემიჯნა გადაცემაში გამოთქმულ შინაარსს და დროული რეაგირების განუხორციელებლობის გამო ბოდიში მოიხადა, რაც მედიის მხრიდან გამოვლენილი პასუხისმგებლობის კარგი მაგალითია.¹⁰⁹

რაც შეეხება მესამე ფაქტს, 20 ოქტომბერს, დისკრიმინაციის წახალისების მორიგი შემთხვევა აღინიშნა ტელეარხ „ფორმულას“ გადაცემაში, „ფორმულა 12“. ერთ-ერთ საჯარო

104 ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/rMm00sk>

105 იხ. <https://cutt.ly/NMm255n>

106 იხ. <https://cutt.ly/uMm9UBp>

107 იხ. <https://cutt.ly/jMm90xZ>

108 ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/oMm2sN4>

109 იხ. <https://cutt.ly/JMm9f8B>

სკოლაში ძალადობის სავარაუდო ფაქტის გაშუქებისას, ეთერში გავიდა მასწავლებლის კომენტარი,¹¹⁰ რომელიც სკოლაში მომხდარ ინციდენტს ბავშვის გონებრივი განვითარების შეფერხებას უკავშირებდა. მართალია, ტელენამყვანმა პედაგოგის კომენტარი სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველად შეაფასა და მის შეხედულებებს პირდაპირ ეთერში გაემიჯნა, თუმცა, კომენტარი წინასწარ იყო ჩანერილი, რაც საშუალებას იძლეოდა, ეთერში დისკრიმინაციის წამახალისებელი ფრაგმენტის გარეშე გასულიყო.

8. დისკრიმინაცია კულტურის სფეროში

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ შემაშფოთებელია ის პრობლემური გარემო, რაც ბოლო პერიოდში კულტურის სფეროში შეინიშნება. კერძოდ, კულტურის სფეროს გარშემო მიმდინარე მოვლენები საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისა და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კითხვებს ბადებს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის სათანადო უზრუნველყოფის, აგრეთვე, ცენზურის დაწესების მცდელობის საკითხებთან დაკავშირებით.

საჯარო განხილვის საგნად ქცეულ შემთხვევათა შორისაა: 2021 წლის მარტში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან რეორგანიზაციის საფუძვლით 70 თანამშრომლის გათავისუფლება;¹¹¹ ხელოვნების მუზეუმიდან შუა საუკუნეების მიმართულების მთავარი კურატორის, ნანა ბურჭულაძის, კურატორის, ნინო ჩიხლაძის, ახალი ქართული ხელოვნების ფონდების მცველის, ნინო ხუნდაძისა და ხელოვნებათმცოდნე მაკო [მაია] მაჭარაშვილის გათავისუფლება;¹¹² კინოცენტრის დირექტორის, გაგა ჩხეიძის თანამდებობიდან გათავისუფლება;¹¹³ 2022 წლის 1 ივნისიდან ეროვნული მუზეუმიდან 21 თანამშრომლის (მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, ექსპერტ-მეცნიერების სტატუსით დასაქმებული ასაკოვანი მეცნიერების) გათავისუფლება;¹¹⁴ ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას“ ჟიურის წევრად სამინისტროს წარმომადგენლის დანიშვნა, რაც კონკურსში მონაწილე მწერლებმა მწერლობაზე „პარტიული კონტროლის დაწესებად“ შეაფასეს.¹¹⁵

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს, განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრა შესახებ რეკომენდაციით და ზოგადი წინადადებით მიმართა. აღმოჩნდა, რომ 4 განმცხადებელს, რომელთა პროექტმაც, ეროვნული მუზეუმის სახელით, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გაიმარჯვა, ეროვნული მუზეუმის დირექტორთა საბჭომ უარი უთხრა დაფინანსებაზე, ვინაიდან, პროექტში ჩართულმა თანამშრომლებმა არაერთხელ გააკრიტიკეს კულტურის მინისტრი და ეროვნული მუზეუმის

110 იხ. <https://cutt.ly/JMm3mut>

111 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/469845>

112 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/586613/>; <https://rb.gy/xdq3we>

113 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lbnqso>; <https://rb.gy/ktjiph>; <https://rb.gy/vwmano>

114 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/7319by>

115 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435314>

ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები. ამასთანავე, ისინი ეროვნული მუზეუმიდანაც გაათავისუფლეს, რის შესახებ დავას სასამართლოში აწარმოებენ.¹¹⁶

ამასთანავე, სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ზოგადი წინადადებითაც მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს და პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის პროცესში დისკრიმინაციული მოტივებისგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად, ცვლილებების განხორციელება მოითხოვა.¹¹⁷

9. დისკრიმინაცია მედიის წარმომადგენლების მიმართ

სახალხო დამცველი წელსაც აკვირდებოდა მედიის წარმომადგენელთა დაცულობის კუთხით არსებულ მდგომარეობას და გამოწვევებს. საგანგაშოა ჟურნალისტების მიმართ გამოკვეთილი მტრული გარემო, ასევე, ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მიმართ მათი საქმიანობისთვის ხელშეშლის, შრომითი უფლებების დარღვევის და მათი მისამართით სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები, მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან.

სახალხო დამცველმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ყოფილი დირექტორის მხრიდან ჟურნალისტის მიმართ განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა.¹¹⁸ ჟურნალისტი სამსახურიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო გაათავისუფლეს, თუმცა, რეალურად, მისი გაათავისუფლება მის მიერ ხელისუფლებისადმი კრიტიკული სიუჟეტების მომზადებით იყო გამოწვეული.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოს მთავრობის ბრიფინგებზე მედიის წარმომადგენლის არდაშვების შემთხვევას - BM.GE-ს მთავარ რედაქტორს, თელარა გელანტიას საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასწრება რამდენჯერმე შეეზღუდა.¹¹⁹ 2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი შეტყობინება მიიღო საკანონმდებლო ორგანოს შენობაში, ჟურნალისტების მიმართ საქართველოს პარლამენტის წევრების მხრიდან მომდინარე სიტყვიერი თავდასხმების, მაგალითად, არმაზ ახვლედიანის მიერ ტელეკომპანიის ჟურნალისტის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და არხის მისამართით, ცილისმწამებლური და ზეწოლის შემცველი განცხადების გავრცელების შესახებ.¹²⁰

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა მიიღო „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტის, ნატალია ქაჯაიას განცხადება, რომელშიც საუბარია 2022 წლის 24 ივნისს, მისი მისამართით მამუკა მდინარაძის მხრიდან გამოთქმულ, შეურაცხმყოფელ/არაკორექტულ გამონათქვამებზე.

116 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 ოქტომბრის რეკომენდაცია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/FMSh85G>

117 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 31 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს <https://cutt.ly/FMSne1p>

118 საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 29 ნოემბრის რეკომენდაცია აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს, ხელმისაწვდომია <https://rb.gy/j6sgle>

119 იხ. <https://cutt.ly/BMSHrng>

120 იხ. <https://cutt.ly/hMSKwMJ>

მებზე.¹²¹ პრობლემური იყო 2022 წლის 25 ივლისს, პარტიის, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიმართაც, ნატალი ჯახუტაშვილის მიმართ.¹²² გამოვლენილ ფაქტებთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა, მოახდინოს რეაგირება პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, ეთიკის საბჭოს თანათავმჯდომარეები ჯერჯერობით არ აურჩევიათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აირჩივენ ეთიკის საბჭოს თანათავმჯდომარეებს, საბჭო შეუდგება საკითხების ეტაპობრივად განხილვას.¹²³

10. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა არსებითად გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო უწყებების მხრიდან დანაშაულებზე რეაგირების ხარისხის ასამაღლებლად, ასევე, სამართალდამცავ უწყებებსა და სასამართლოს შორის ერთიანი სტატისტიკის საწარმოებლად, თუმცა, გასული წლის საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება კვლავ გამოწვევად რჩება. სამართალდამცავი უწყებების რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობისა და დროულობის სტანდარტებს. დაბალია მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებში სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის მაჩვენებელიც. სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობას ამცირებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საქმეებზე სუსტი რეაგირება ან რეაგირების არარსებობა. ამის მაგალითია, 2021 წლის 5-6 ივლისს რადიკალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან პოზიტიური ღონისძიებების გამოყენებისთვის თავის არიდება, მათ შორის, საქართველოს პროკურატურას დღემდე არ დაუწყია სისხლისსამართლებრივი დევნა 2021 წლის 5 ივლისს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების ფაქტებზე.¹²⁴

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განხილულ ერთ-ერთ საქმეში, განმცხადებელი, რომელიც არის ანგლიკანური ეკლესიის პასტორალური ლიდერი, მიუთითებდა, რომ აღნიშნულმა ეკლესიამ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილს პირველად დაწერა ჯვარი, ამის თაობაზე ინფორმაცია კი ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე განათავსა. პოსტის განთავსებიდან რამდენიმე საათში კი, ჰომოფობიურად განწყობილი პირებისგან ეკლესიის გვერდზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფისკენ მიმართული მუქარის შემცველი შეტყობინებები მიიღო. ამ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატს საქართველოს შინაგან საქმეთა

121 იხ. <https://cutt.ly/HMSZoIk> მამუკა მდინარაძე ნატალია ქაჯაიას: „თვალეზგადმოყრილი ლაპარაკობ“, „დაკარგე ადამიანის სახე“.

122 „კაგებეშნიკი არის მამათქვენი. ნუ კანკალებ, სახე დაკარგე. არ გრცხვენია? შენც ხარ დავით არახამია. როგორც არახამია არ არის კაცი, ისე შენ არ ხარ ქალი...“; „სახე დაკარგე, თავი დაკარგე. პოლიტიკა გიღირს ამაღ? სამარცხვინო ხარ. გულისამრევი. ქალი აღარ ხარ;“ „პირი მოინმინდე, რომ ლაპარაკობ. სააკაშვილივით გაქვს პირი. დაემსგავსე ყველაფრით შენს ბელადს“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/cMMan17>

123 საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 1 დეკემბრის წერილი №11590/2-7/22.

124 ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ბურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნის წინადადებით მიმართა. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Qb6VoN>

სამინისტროდან ეცნობა¹²⁵, რომ უწყებამ ეკლესიის ლიდერისა და მისი მიმდევრების მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით¹²⁶ დაიწყო, საქმეზე ჩატარებული გამოკითხვის დროს გამოიყენეს სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით შემუშავებული სპეციალური კითხვარი, თუმცა შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით¹²⁷ კი, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის.

ერთ-ერთ შემთხვევაში, იეჰოვას მოწმეები მიუთითებდნენ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ლარსთან, ლიტერატურის მოძრავ სტენდთან დგომისას, 10 პირისგან შემდგარმა ჯგუფმა მათი მისამართით ლანძღვა და მუქარა დაიწყო მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ იეჰოვას მოწმეები იყვნენ. განმცხადებლებმა მუქარა სერიოზულად აღიქვეს, რის გამოც იძულებული გახდნენ, საქმიანობა შეეწყვიტათ. განმცხადებლები, ასევე მიუთითებდნენ შემთხვევის ადგილთან ახლოს მდგომი პოლიციის თანამშრომლების არასათანადო და არაეფექტიან რეაგირებაზე. სახალხო დამცველის აპარატს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ეცნობა, რომ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყაზბეგის რაიონულ სამმართველოში ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა, გამოკითხვისას გაირკვა, რომ იეჰოვას მოწმეებსა და ამ პირებს შორის სიტყვიერი კონფლიქტი მოხდა და რაიმე სახის ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.

საქართველოში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებასა და დევნასთან დაკავშირებით გამოვლენილი ერთ-ერთი გამოწვევა სამართალდამცავი უწყების მიერ სიძულვილის მოტივების გამოკვეთასა და დანაშაულის სწორად კვალიფიკაციას უკავშირდება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავი უწყება მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები, ფაქტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირდება. თუმცა, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას არ გამოყოფს, არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის დისკრიმინაციული დამოკიდებულებით განპირობებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების სერიოზულობიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდამცავმა უწყებამ განიხილოს ქმედების, სულ მცირე, როგორც სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.

125 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 30 სექტემბრის კორესპონდენცია MIA 9 22 02742663; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 11 ნოემბრის კორესპონდენცია MIA 5 22 03186611.

126 სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, – ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

127 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 სექტემბრის კორესპონდენცია №13/61495.


11. სახალხო დამცველის საქმიანობა თანასწორობის მიმართულებით

საანგარიშო პერიოდში, თანასწორობის დაცვის მიმართულებით, სახალხო დამცველის ძირითადი საქმიანობა იყო სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ ინდივიდუალური განცხადებების შესწავლა და თანასწორობის და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

11.1. ინდივიდუალური საქმების შესწავლა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 153 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 20% **განსხვავებული მოსაზრების** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას შეეხებოდა. **სქესის/გენდერის** და **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე განმცხადებელთა 13-13% მიუთითებდა. **სექსუალური ორიენტაციისა** და **გენდერული იდენტობის** ნიშნით - 11%, ხოლო **ეთნიკური წარმომავლობის** საფუძველზე დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 10% დავობდა. **ეროვნების/მოქალაქეობის** დაცული ნიშანი 7%-ში, **პოლიტიკური შეხედულება** კი, განცხადებების 4%-ში იკვეთებოდა. **რელიგიის** და **პროფესიული კავშირის ნევრობის** გამო სავარაუდო დისკრიმინაცია მომართვების 2-2%-ში გამოვლინდა. **სხვა ნიშნების** საფუძველზე დისკრიმინაციულ მოპყრობაზე დავა ამ საანგარიშო პერიოდშიც აქტიუალური იყო და განცხადებების 18%-ს შეადგენდა.

ჩარტი №1



საპაციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის აღდგომის შესახებ - 2022

რაც შეეხება წინა საანგარიშო პერიოდს, სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 161 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 17% **პოლიტიკური შეხედულების** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს შეეხებოდა. **სქესის/გენდერის** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები განცხადებების 16%-ს შეადგენდა. **განსხვავებული მოსაზრება** და **შეზღუდული შესაძლებლობა** საქმეების 11-11%-ში გვხვდებოდა. **სექსუალური ორიენტაციის** ან/და **გენდერული იდენტობის** ნიშნით განმცხადებელთა 7% დავობდა. **ეროვნება/მოქალაქეობის** გამო - 6%, **რელიგიის** გამო - 4%, **ეთნიკური წარმომავლობის** და **ასაკის** გამო უთანასწორობის შემთხვევებს კი საქმეების 3-3% შეეხებოდა. 2021 წელს წარმოებაში მითითებული საქმეების ყველაზე დიდი ნაწილი - 22% **სხვა ნიშნებით** სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა.

რაც შეეხება წარმომადგენლობას, ამ საანგარიშო პერიოდში, განმცხადებლების უმრავლესობა - 78% სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა, 22%-ის ინტერესებს კი წარმომადგენელი იცავდა. საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, განცხადებების უმრავლესობა - 61% საჯარო უწყებებში ჩადენილ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა, განცხადებების 39%-ში კერძო სექტორში მომხდარ დისკრიმინაციის შემთხვევებზე მიუთითებდნენ.

ჩარტი №2



ამასთანავე, 2022 წელს სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე 10 რეკომენდაცია, 3 ზოგადი წინადადება და 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მოამზადა. 2021 წლის განმავლობაში კი - 15 რეკომენდაცია და 10 ზოგადი წინადადება გამოიცა და 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადდა.

11.2. საგანმანათლებლო საქმიანობა

2022 წელს სახალხო დამცველი განაგრძობდა თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით საქმიანობას. თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს მასშტაბით 90-მდე საინფორმაციო შეხვედრა და ტრენინგი ჩაატარეს საჯარო მოხელეებისთვის, დაუცველი ჯგუფებისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლებისთვის და ჯამში 1656 ადამიანს თანასწორობის საკითხებზე

თან დაკავშირებით ცოდნა აუმაღლეს. შეხვედრები, ძირითადად, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ჩატარდა.

საგანმანათლებლო საქმიანობას და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს სახალხო დამცველი თანასწორობის უზრუნველყოფისა და ცალკეულ ჯგუფთა უფლებების დაცვის პროცესში უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მოიაზრებს და, ამ მხრივ, სხვადასხვა უწყებასთან თუ ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობს. მიმდინარე საანგარიშო პერიოდი აქტიური იყო კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის მიმართულებით, მათ შორის, ერთ-ერთმა კერძო კომპანიამ¹²⁸ თავად გამოთქვა სურვილი, სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტების წარმომადგენლები, დისკრიმინაციის წახალისებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებთან დაკავშირებით, თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩასატარებლად მიეწვია.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონს აქტიურად სტუმრობდნენ. შეხვედრები გაიმართა 7 რეგიონის (ზემო აჭარა, ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) 36 მუნიციპალიტეტსა და 15 სოფელში. ვიზიტების ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გარდა¹²⁹ შეხვედრები გაიმართა მუსლიმ და ებრაულ თემთან, იეჰოვას მოწმეებთან, ეკომიგრანტებთან, მესხებთან, ბოშებთან, ქისტებთან, უდიებთან, ლეკებთან და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობასთან. საგანმანათლებლო შეხვედრებისას განსაკუთრებული აქცენტი, სხვა საკითხებთან ერთად, სექსუალურ შევიწროებასა და მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თანასწორობის პრინციპებთან შეუსაბამობის საკითხზე კეთდებოდა.¹³⁰ ამასთან ერთად, სახალხო დამცველის წარმომადგენლები თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ ადგილზე არსებულ პრობლემებსაც ეცნობოდნენ.

საერთო ჯამში, 2022 წლის განმავლობაში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა საჯარო უწყებების 874 თანამშრომელს, დაუცველი ჯგუფების - 367 წარმომადგენელს, საგანმანათლებლო სფეროდან 58 პირს, 175 ახალგაზრდასა და კერძო კომპანიების 144 თანამშრომელს შეხვდნენ. აღსანიშნავია, რომ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის საკითხებზე შეხვედრები შედგა (38 მონაწილე) პროფესიული კავშირის წევრებთან და დასაქმებულებთან. შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა ოდენობამ - 1656 შეადგინა.

სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ჩართულობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ, კასკადური ტრენინგები ჩატარდა.¹³¹ დისკრიმინაციისგან დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ სტანდარტებზე, დისკრიმინაციის წახალისებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე, ტრენინგები ასევე ჩატარდათ საბანკო¹³² და

128 კომპანია AzRy, კომპანია ოპერირებს პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული აპარატურის განვითარების მიმართულებით, ვრცლად: <https://bit.ly/3GibZTG>

129 შეხვედრაში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტების მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და გადაწყვეტილების მიმღები პირები.

130 საინფორმაციო შეხვედრები თანასწორობის შესახებ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QbxUAG>; სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ქვემო ქართლში გენდერული თანასწორობისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე სემინარები ჩაატარეს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3GDpm26>

131 ტრენინგი შსს-ს თანამშრომლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3i8QVHs>

132 ტრენინგი ბანკების წარმომადგენლებისთვის თანასწორობის საკითხებზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია:

სადაზღვევო¹³³ სფეროს წარმომადგენლებს, სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა“ და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს¹³⁴, თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა თემის ფასილიტატორებს.¹³⁵ ტრენინგების ფარგლებში, ასევე გაანალიზდა, თითოეული მიმართულებით, სახალხო დამცველის პრაქტიკა და დადგენილი სტანდარტები.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებისთვის, თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სტანდარტებზე, ელექტრონული კურსი მომზადდა.¹³⁶ კურსი მიზნად ისახავს თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის საბაზო საკითხებისა და თანასწორობის უზრუნველყოფაში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების როლის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩეული თუ დასაქმებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამოვლენასა და თავიდან არიდებაში დახმარებას.

<https://t.ly/eo-T>

133 ტრენინგი სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისთვის თანასწორობის საკითხებზე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jOachQ>

134 ტრენინგი თანასწორობის საკითხებზე სამედიცინო რეგულირების სააგენტოს და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WLN3Ln>

135 ტრენინგი თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა თემის ფასილიტატორებისთვის, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Z8YNcx>

136 ხელმისაწვდომია: <http://tanastoroba.ombudsman.ge/signin>

დასკვნა

საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვა წლიდან წლამდე რთულდება. ერთი მხრივ, არსებობს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც მნიშვნელოვან ფორმალურ საფუძველს ქმნის უთანასწორობის მსხვერპლი ადამიანებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, მისი პრაქტიკული, ყოველდღიური გამოყენება არსებით პრობლემებთან არის დაკავშირებული, რამდენადაც, დაუცველი ჯგუფები, სხვადასხვა უფლებით სარგებლობისას, მათი პირადი მახასიათებლების გამო, ბევრ დაბრკოლებას აწყდებიან.

წლებია, სახალხო დამცველი სახელმწიფოს თანასწორობის დაცვის შესახებ ერთიანი პოლიტიკისა და ხედვის შემუშავებისკენ მოუწოდებს. 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა ადამიანის უფლებების დაცვის ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა 2022-2030 წლების სტრატეგია და „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“ დაამტკიცა, თუმცა ადამიანის უფლებების სტრატეგიაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის აღნიშვნის პარალელურად, ლგბტ+ თემი მოხსენიებული არ არის. ხოლო გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიზანი კაცის და ქალის თანასწორობაზე კონცენტრირდება, ლგბტ+ თემის საჭიროებებს კი, როგორც გენდერული პოლიტიკის არსებით ნაწილს, საერთოდ არ ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ერთი რომელიმე სოციალური ჯგუფის გარიყვა, პირველ რიგში, უარყოფითად აისახება საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანზე, მათი იდენტობის თუ კუთვნილების მიუხედავად. მეორე მხრივ კი, თანასწორუფლებიანობის დაცვის საწინააღმდეგო ნაბიჯები ჩვენი ქვეყანის დემოკრატიას და განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ▶ სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განიხილოს ქმედების, სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- ▶ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების №9 დანართში შეიტანოს ცვლილება, რომლის შედეგადაც, პაციენტს, გაუტკივარებაზე ინფორმირებული თანხმობის გაცხადებასთან ერთად, ჰემოტრანსფუზიაზე უარის დაფიქსირების შესაძლებლობაც მიეცემა
- ▶ საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები/გაიდლაინები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის:

- ▶ ნორმაშემოქმედებითი და აღმასრულებელი საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპების დაცვით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას:

- ▶ ლიცენზირებული საფეხბურთო კლუბებისა და მათთან დასაქმებული ფეხბურთელების მონაწილეობით, შეიმუშაოს ვარჯიშის/თამაშის დროს ფეხბურთელთა მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობის დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი
- ▶ მოიძიოს საფეხბურთო კლუბებისთვის სპეციალური სადაზღვევო პაკეტების ან დამატებითი დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობა ფეხბურთელთა მიერ მიღებული ტრავმების მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად და ამ პროცესში გაითვალისწინოს ქალთა საფეხბურთო კლუბებისა და ქალი ფეხბურთელების საჭიროებები.

საქართველოს ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას:

- ▶ უზრუნველყოს ქალი ფრენბურთელებისთვის ჯანდაცვის მომსახურებაზე შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა
- ▶ შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები ფრენბურთის ლიცენზირებული გუნდების მხრიდან მათთან დასაქმებული ფრენბურთელების ტრავმების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების შესასრულებლად.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას:

- ▶ საჭადრაკო ღონისძიებების დებულებების შედგენისას და საქართველოში ეროვნული და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებისას, კაცთა/ღია და ქალთა ტურნირების საპრიზო კატეგორიებისთვის თანაბარი ოდენობის თანხები გაითვალისწინოს.

**დისკრიმინაციის
წინააღმდეგ
ბრძოლის, მისი
თავიდან აცილებისა
და თანასწორობის
მდგომარეობის
შესახებ**

2022 წლის სპეციალური ანგარიში